პრეზიდენტ თომას მონსონი

იდექით წმინდა ადგილებში

იმისთვის, რომ თავი გავართვათ ცხოვრებისეულ სირთულეებს, აუცილებელია ვიქონიოთ კავშირი მამაზეციერთან. ამ კავშირში იგულისხმება ჩვენი მის მიმართ ლოცვები და მისი ჩვენს მიმართ შთაგონება.

ჩემო საყვარელო დებო და ძმებო, ჩვენ ამ დილით მოვისმინეთ შესანიშნავი გამოსვლები. მადლობას ვუხდი ყველას, ვინც გამოვიდა სიტყვით. ჩვენ განსაკუთრებით გვსიამოვნებს ის, რომ ჩვენთან იმყოფება უხუცესი რობერტ დ. ჰეილსი. გვიხარია, რომ კარგად ხარ, ბობ. გვიყვარხარ.

მე ვფიქრობდი იმაზე, თუ რა მეთქვა თქვენთვის დღეს დილით. არჩევანი გავაკეთე იმ თემაზე, რომელიც ამ დროისთვის მიზანშეწონილად მიმაჩნია. მე ვლოცულობ მასზედ, რომ ჩემს გამოსვლას სული წმინდა უძღვებოდეს.

მე უკვე 84 წელია დავაბიჯებ დედამიწაზე. იმისთვის, რომ წარმოდგენა შეგიქმნათ ჩემს ასაკზე გეტყვით, რომ დავიბადე იმ წელს, როდესაც ჩარლზ ლინდბერგმა პირველად ისტორიაში მონოპლანით მოახდინა ფრენა ნიუ–იორკიდან პარიზამდე. ამ 84 წლის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა, ადამიანი მთვარეზეც კი გაფრინდა. ფაქტიურად გუშინდელი ფანტასტიკა დღევანდელ რეალობად იქცა. ეს რეალობა კი ისე სწრაფად ვითარდება, რომ ხშირად ვერც კი ვასწრებთ გავეცნოთ სიახლეებს. მათ, ვისაც ახსოვთ დისკიანი ტელეფონები და საბეჭდი მანქანები, აოცებთ დღევანდელი ტექნოლოგიები.

იგივე ითქმის საზოგადოებრივ მორალზეც. საქციელი, რომელიც ოდესღაც ამორალურად ითვლებოდა, ახლა ბევრის მიერ მისაღებია.

მე ახლახანს წავიკითხე *ვოლ სთრით ჯორნალში* ბრიტანეთის მთავარი რაბინის, ჯონათან სექის სტატია. ის წერს: „სამოციან წლებში დასავლეთ ქვეყნებში მიმდინარეობდა მორალური რევოლუცია. როგორც „ბიტლზები“ მღეროდნენ, სიყვარული–მეტი არაფერი არ გჭირდება. იუდეველ–ქრისტიანული მორალი იგნორირებულ იქნა. მის სანაცვლოდ დამკვიდრდა გამონათქვამი: *„რაც გინდა ის აკეთე“*. ათი მცნება გადააქციეს ათ წინადადებად“.

რაბინი სექი მწუხარებით აგრძელებს:

„ჩვენ მორალურ კაპიტალს ისეთივე დაუდევრობით ვხარჯავდით, როგორც ფინანსურს. . . .

„მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში რელიგია წარსულს ჩაბარდა, დღევანდელი კულტურა კარნახობს: იყიდე, დახარჯე, ჩაიცვი, გამოიჩინე თავი, რადგან შენ ეს დაიმსახურე. მორალი აღარ არის მოდაში, ნამუსი მხოლოდ სუსტი ადამიანების დამახასიათებელი ატრიბუტია, და არსებობს ერთადერთი მთავარი მცნება: “ოსტატურად შეინიღბე“.[1]

ჩემო დებო და ძმებო, სამწუხაროდ ასეთია სამყარო ჩვენს ირგვლივ. ვწუხვართ ჩვენ იმაზედ, თუ როგორ ვახერხებთ ასეთ სამყაროში არსებობას? სამწუხაროდ, არა. ჭეშმარიტად, ჩვენ ცხოვრებაში იესო ქრისტეს სახარება გვაქვს, და ჩვენ ვიცით, რომ მორალი ძველმოდურობა არ არის, და რომ ნამუსი ჩვენი გზამკვლევია, და რომ ჩვენ ჩვენს ქმედებებზე პასუხს ვაგებთ.

მიუხედავად იმისა, რომ სამყარო ასე შეიცვალა, ღვთის კანონები უცვლელი დარჩა. ათი მცნება იგივე ათი მცნებაა, და არა წინადადება. ათ მცნებას დღესაც იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც იმ დროს, როდესაც ღმერთმა ისინი ისრაელის შვილებს მისცა. ყურს თუ დავუგდებთ, გავიგონებთ ღმერთის ხმას, რომელიც აქ, ამ წუთას მოგვმართავს:

„არ იყოლიო სხვა ღმერთი ჩემს გარდა.

„არ გაიკეთო კერპი. . . .

„არ წარმოთქვა უფლის,შენი ღმერთის, სახელი ამაოდ. . . .

„დაიცავი შაბათის დღე, რათა წმინდაჰყო იგი. . . .

„პატივი ეცი მამაშენსა და დედაშენს. . . .

„არა კლა.

„არ იმრუშო.

„არ იქურდო.

„არ გამოხვიდე ცრუ მოწმედ. . . .

„არ ისურვო“.[2]

ჩვენი მორალური კოდექსი მყარია და არ ექვემდებარება ცვლილებებს. იგი ჩადებულია არა მარტო ათ მცნებაში, არამედ მთაზე ქადაგებაშიც, რომელიც დაგვიტოვა უფალმა, თავის დედამიწაზე ყოფნის დროს. ის მაცხოვრის ყოველ ქადაგებაშია და თანამედროვე გამოცხადებების სიტყვებშიც მოიპოვება.

მამა ჩვენი ზეციერი იგივეა გუშინაც, დღესაც და მარადის. წინასწარმეტყველი მორმონი გვასწავლის, რომ ღმერთი უკუნითი უკუნისამდე უცვლელია.[3] ამ სამყაროში, სადაც ყველაფერი ასე სწრაფად იცვლება, მისი მარადიულობა არის ის ღუზა, რომელსაც შეგვიძლია დავეყრდნოთ, რათა არ წაგვიღოს წყალქვეშა დინებამ.

ზოგჯერ შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ სხვები თქვენზე კარგად ატარებენ დროს. ზოგიერთ თქვენთაგანს მოეჩვენება, რომ ჩვენი ეკლესიის მორალური კოდექსი გზღუდავთ. ჩემო ძვირფასო დებო და ძმებო, მე ვაცხადებ, რომ *არ არის* ჩვენს ცხოვრებაში იმაზე დიდი სიხარული, ვიდრე ის, რომელიც მოიპოვება მაშიმ, როდესაც მივდევთ მაცხოვარს და ვიცავთ მის მცნებებს. ასეთ სიხარულს ვერ განიცდით მიწიერ გართობებში. მოციქული პავლე გვიცხადებს ჭეშმარიტებას, როცა ამბობს: „ მიწიერი ადამიანი არ ღებულობს იმას, რაც ღვთის სულისაგან არის, ვინაიდან უგუნურებად მიიჩნევს და არც ძალუძს შეცნობა, რადგან სულიერად არის განსასჯელი“.[4] ტერმინი *„მიწიერი ადამიანი“* შეიძლება თითოეულმა ჩვენთაგანმა მოირგოს, თუკი საკუთარ თავს მივცემთ ნებას ვიყოთ ასეთნი.

ჩვენ ფხიზლად უნდა ვიყოთ სამყაროში, რომელიც ასე დაშორდა სულიერებას. აუცილებელია არ მივიკაროთ არაფერი, რაც არ შეესაბამება ჩვენს სტანდარტებს, რამეთუ არ დავთმოთ ის, რაც ყველაზე მეტად გვწადია: მარადიული ცხოვრება ღვთის სასუფეველში. დროდადრო სირთულეები გვექნება ცხოვრებაში, მაგრამ ისინი ხომ ჩვენი მიწიერ ცხოვრებაში არსებობის გარდაუვალი ნაწილია, თუმცა მაშინ, როდესაც ვართ სახარებით გაჯერებულნი, მაცხოვრის მიმართ სიყვრალულით აღვსილნი, ჩვენ უკეთ ვუმკლავდებით მათ, და მეტსაც ვსწავლობთ. წინასწარმეტყველმა ესაიამ განაცხადა: „სამართლიანობის საქმე იქნება მშვიდობა, სამართლიანობის შედეგი კი სიმშვიდე და თავდაჯერებულობაა.“[5]

იმისთვის, რომ ვიყოთ *ამ* ქვეყნად და ვიყოთ *არა* ამ ქვეყნიერი, აუცილებელია ლოცვაში ვესაუბროთ მამაზეციერს. ის ელის ამას, ის უპასუხებს ჩვენს ლოცვებს. მაცხოვარმა გვირჩია, როგორც ეს დაწერილია 3 ნეფი 18, „მუდამ იფხიზლეთ და ილოცეთ, რამეთუ არ ცდუნდეთ, ვინაიდან სატანას უნდა თქვენი შეპყრობა. . . .

ასე რომ, ყოველთვის მიმართეთ ლოცვით მამას ჩემი სახელით;

და რასაც მამაზეციერს რწმენით შესთხოვთ ჩემი სახელით, უსათუოდ მოგეცემათ, თუ სურვილი მართებულია.“[6]

მე ჩემი დამოწმება მივიღე 12 წლის ასაკში. ბევრს ვმუშაობდი, და ხუთი დოლარის გადადება მოვახერხე. ეს დეპრესიის წლებში ხდებოდა, როდესაც ხუთი დოლარი საკმაოდ სერიოზული თანხა იყო, განსაკუთრებით 12 წლის ბიჭისთვის. მე მამას ხუთი დოლარის ხურდა ჩავაბარე, მან კი ქაღალდის კუპიურა მომცა. კარგად მახსოვს, რომ ამ ხუთი დოლარით რაღაც განსაკუთრებული უნდა მეყიდა, თუმცა ახლა ვეღარ ვიხსენებ რა მინდოდა ასე ძალიან. მე მხოლოდ ეს განცდა მახსოვს.

იმ დროს ჩვენ არ გვქონდა სარეცხი მანქანა, ასე რომ ყოველ კვირას დედა სარეცხს სამრეცხაოში აგზავნიდა. რამოდენიმე დღის შემდეგ გაწურული სარეცხი ჩვენთან სახლში მოჰქონდათ და დედა მას ეზოში სარეცხის თოკებზე ფენდა გასაშრობად.

ჩემი ხუთ დოლარიანი კუპიურა ჯინსის ჯიბეში მედო. როგორც ხვდებით, ჯინსი სამრეცხაოში წაიღეს. როცა მივხვდი, რა მოხდა, ძალიან შევწუხდი. მე ვიცოდი, რომ როგორც წესი, გარეცხვამდე ჯიბეები სამრეცხაოში ისინჯებოდა. თუ ფული პირველ ეტაპზე არ ამოიღეს ჯიბიდან, მაშინ მას აუცილებლად მეორე ეტაპზე, გარეცხვის დროს აღმოაჩენდნენ, და სამრეცხაოს თანამშრომელს, კუპიურის დაბრუნების სურვილიც რომ ჰქონოდა, წარმოდგენა არ ექნებოდა, ვის ეკუთვნოდა ეს ფული. ჩემი ხუთი დოლარის დაბრუნების შანსი სულ უფრო და უფრო მცირდებოდა. ეს დედამაც დამიდასტურა, როდესაც ვუამბე მას ჩემი „უბედურება“.

ო, როგორ მჭირდებოდა ეს ფული! მე ხომ იმდენს ვშრომობდი მის საშოვნელად. მე ვიცოდი, რომ დამრჩენია მხოლოდ ერთი რამ: სასოწარკვეთილმა, მამაზეციერს მივმართე და ვევედრებოდი, შეენახა ჩემი ფული გარეცხილი ჯინსის ჯიბეში.

ორი გრძელი დღე გავიდა. დადგა სარეცხის მოტანის დრო. მე ფანჯარასთან დავჯექი მოლოდინში. როდესაც მანქანა გამოჩნდა, გული ამიჩქარდა. როგორც კი სველი სარეცხი სახლში შემოიტანეს, ჩემ ჯინსს ვტაცე ხელი და საძინებელში გავვარდი. აკანკალებული ხელი ჯიბეში ჩავყავი. თავიდან ვერაფერი ვერ ვნახე, და უკვე თითქმის იმედი გამიცრუვდა. უეცრად თითებმა სველი კუპიურა მოსინჯეს. ო რა შვება ვიგრძენი მაშინ, როდესაც

ჯიბიდან სველი ხუთ დოლარიანი ამოვიღე! მე მამაზეციერს გულითადი მადლიერების ლოცვა აღვუვლინე, რამეთუ ვიცოდი, რომ მან ჩემს ლოცვას უპასუხა.

იმ დღიდან უამრავ ლოცვაზე მივიღე პასუხი. არ გასულა არც ერთი დღე, როდესაც მე მამაზეციერს ლოცვაში არ ვესაუბრე. ასეთი ურთიერთობის გარეშე მე ვერ ვიარსებებდი. თუ თქვენ ამჟამად არა გაქვთ ასეთი ურთიერთობა მამაზეციერთან, მე გირჩევთ დაუახლოვდეთ მას. ამ დაახლოების პროცესის შედეგად თქვენ ცხოვრებაში აუცილებელი შთაგონებისა და სული წმინდის ხელმძღვანელობის ღირსნი გახდებით. ეს ძღვენი ხომ უანგაროდ გვეძლევა, ოღონდაც მოვინდომოთ ამ განძის მიღება.

მე ყოველთვის დიდ მადლიერებასა და მორჩილებას განვიცდი, როდესაც მამაზაციერი შთამაგონებს. მე ვისწავლე ამ შთაგონების გამოცნობა, ნდობა, და შემდგომ მოქმედება. მე ასეთი შთაგონებები ხშირად მიმიღია. 1987წ. აგვისტოს თვეში გერმანიაში, ფრანქფურტის ტაძრის მიძღვნის ცერემონიაზე მნიშვნელოვანი რამ მოხდა. პრეზიდენტი ეზრა ტაფთ ბენსონი რამოდენიმე დღის განმავლობაში ჩვენთან იმყოფებოდა, შემდეგ სახლში მოუწია წასვლა და დანარჩენი სხდომების ჩატარება მე მომიწია.

შაბათს ჩვენ ჩავატარეთ სხდომა ჩვენი ჰოლანდიელი მრევლისთვის, რომელიც ფრანქფურტის ტაძრის ოლქს ეკუთვნოდა. მე კარგად ვიცნობდი ერთ–ერთ ჰოლანდიელ ხელმძღვანელს, ძმა პიტერ მიურიქს. სხდომის დაწყებამდე მე მტკიცედ ვიცოდი, რომ ვთხოვდი ძმა მიურიქს ჰოლანდიელი მრევლის წინაშე სიტყვით გამოსვლას, და რომ ის იქნებოდა პირველი გამომსვლელი. იმ დილით, როდესაც ძმა მიურიქი ტაძარში ვერ შევნიშნე, მე მოკლე ბარათი მივწერე ჩვენს ზონალურ პრეზიდენტს, უხუცეს კარლოს ი. ესის, რომელშიც ვკითხე, სად იყო პიტერ მიურიქი. ზუსტად სხდომის დაწყებამდე მე პასუხად ბარათი მივიღე, სადაც ეწერა, რომ ძმა მიურიქი ტაძარში არ იმყოფებოდა. ის სხვა საქმით იყო დაკავებული და ტაძარში სამხედრო პირთა ჯგუფთან ერთად ხვალ მოვიდოდა.

როდესაც მე ხალხის მისასალმებლად ტრიბუნაზე ავედი, ისევ მივიღე შთაგონება, რომ პიტერ მიურიქის სახელი უნდა გამომეცხადა. მიუხედავად იმისა, რომ უხუცეს ესისგან ვიცოდი, რომ ის ტაძარში არ იმყოფებოდა, მე მაინც შთაგონებას მივენდე: გამოვაცხადე გუნდის გამოსვლა, ლოცვა, და შემდეგ დავასახელე პირველი გამომსვლელი–ძმა მიურიქი.

ადგილზე რომ ვბრუნდებოდი, უხუცეს ესის შევხედე; ის აღელვებული ჩანდა. მოგვიანებით მან მითხრა, რომ ყურებს არ დაუჯერა, რადგან ზუსტად იცოდა, რომ მე მისგან შეტყობინება მივიღე და ვიცოდი, რომ ძმა მიურიქი ტაძარში იმ დროს არ იყო.

იმ დროს, როდესაც ეს ყველაფერი ხდებოდა, პიტერ მიურიქი პორტშტრასსში ზონალურ კრებაზე იმყოფებოდა. უეცრად შეხვედრის მსვლელობისას ის რაიონის წარმომადგენელთან, უხუცეს თომას ა. ჰოუქსისაკენ მობრუნდა და ჰკითხა: „ტაძარში რამდენ ხანში მიმიყვან?“

უხუცესი ჰოქსი, რომელიც კარგად იყო ცნობილი მანქანით სწრაფი სიარულის გამო, უპასუხა: „ათ წუთში, მაგრამ რა გინდა ეხლა ტაძარში?“

ძმა მიურიქმა უპასუხა, რომ თვითონაც არ იცოდა, რატომ, მაგრამ უნდა მისულიყო ტაძარში. ისინი სწრაფად გაემგზავრნენ ტაძრისკენ.

გუნდი არაჩვეულებრივად მღეროდა, მე აქეთ–იქით ვიყურებოდი იმედით, რომ სადმე ძმა მიურიქს დავინახავდი. ის არსად არ ჩანდა, მაგრამ საინტერესოა ის, რომ მე არ ვღელავდი. სასიამოვნო შინაგანი სიმშვიდის გრძნობა მქონდა და ვიცოდი, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა.

ძმა მიურიქი ტაძრის წინა კარებში შემოვიდა იმ დროს, როდესაც გახსნითი ლოცვა დასრულდა. მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რისთვის მოვიდა. ის დერეფანში იყო, როდესაც მონიტორზე დამინახა და გაიგონა ჩემი სიტყვები: „ახლა სიტყვით გამოვა ძმა მიურიქი“.

უხუცესი ესის გასაკვირად პიტერ მიურიქი იმწუთასვე შემოვიდა ოთახში და ტრიბუნაზე ამოვიდა.

სხდომის შემდეგ მე და ძმა მიურიქი ვსაუბრობდით იმაზე, თუ რა მოხდა. ჩვენ ორივემ გავიაზრეთ ჩვენი შთაგონებები. ამ მნიშვნელოვანმა მაგალითმა დაგვიმტკიცა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია იყო ასეთი შთაგონების ღირსი, ენდო მას და შემდეგ იმოქმედო. მე ვიცი ყველანაირი ეჭვის გარეშე, რომ უფალს სურდა, რომ ფრანკფურტის ტაძარში მყოფ ყოველ ადამიანს, მოესმინა თავისი მსახურის, ძმა მიურიქის ძლიერი, გულითადი დამოწმება.

ჩემო საყვარელო დებო და ძმებო, იმისთვის, რომ თავი გავართვათ ცხოვრებისეულ სირთულეებს, აუცილებელია ვიქონიოთ მამაზეციერთან კავშირი. ამ კავშირში იგულისხმება ჩვენი მის მიმართ ლოცვები და მისი ჩვენს მიმართ შთაგონება. უფალი გვეძახის: „მომიახლოვდით და მოვალ თქვენთან; მეძიეთ და მიპოვით“.[7] როდესაც ასე მოვიქცევით, მის წმინდა სულს ვიგრძნობთ ცხოვრებაში; იგი გაგვაძლიერებს და გაგვიჩენს სურვილს „ურყევად ვიდგეთ წმინდა ადგილებში“.[8]

როდესაც ჩვენ ვხედავთ, როგორ სწრაფად იცვლება სამყარო ჩვენს ირგვლივ და როგორ თვალსა და ხელს შუა იკარგება მორალი, მოდით გავიხსენოთ უფლის ძვირფასი დაპირება მათ, ვინც მასში რწმენას არ დაკარგავს: „ნუ გეშინიათ, რამეთუ თქვენთან ვარ. ნუ შეშინდებით,

რამეთუ ვარ თქვენი ღმერთი; მე გაგაძლიერებთ თქვენ, და მოგეხმარებით; მე ჩემი სამართლიანი მარჯვენით გაგაძლიერებთ.“[9]

დაე ყველას შეგვაწიოს უფალმა ეს დაპირება. მე გულწრფელად ვლოცულობ ამას ჩვენი უფლისა და მაცხოვრის, იესო ქრისტეს სახელით, ამინ.

შენიშვნები

1. ჯონათან სექი, “Reversing the Decay of London Undone,” *Wall Street Journal,* 20 აგვისტო, 2011, online.wsj.com;. *შენიშვნა:* მოძღვარი სექი გახლავთ გაერთიანებული ებრაელთა მრევლის მთავარი რაბინი
2. გამოსვლა 20:3– 4, 7– 8,12–17.
3. მორონი 8:18.
4. 1 კორინთელთა 2:14.
5. ესაია32:17.
6. 3 ნეფი 18:18–20.
7. მოძღვრება და აღთქმები 88:63.
8. მოძღვრება და აღთქმები 87:8.
9. ესაია 41:10.

© 2011 Intellectual Reserve, Inc-ს მიერ. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/10. თარგმანი დამტკიცებულია: 6/10. თარგმანი *First Presidency Message, ნოემბერი 2011წ.* Georgian. 09771 131

ჩვენი დროის სწავლება

მელქიცედეკის მღვდლობისა და მოწყალების საზოგადოებისთვის განკუთვნილი მეოთხე კვირის გაკვეთილები უნდა ეძღვნებოდეს „ჩვენი დროის სწავლებას“. გაკვეთილის მოსამზადებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ ბოლო გენერალური კონფერენციის გამოსვლები (იხილეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილი). პალოსა ან ოლქის პრეზიდენტებს შეუძლიათ თავად აირჩიონ გამოსვლები ან მისცენ შესაბამისი დავალება ეპისკოპოსებსა და მრევლის პრეზიდენტებს. ხელმძღვანელებმა უნდა გაამახვილონ ყურადღება იმაზედ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, მივაწოდოთ მელქიცედეკის მღდლობასა და მოწყალების საზოგადოებას ერთი და იგივე გაკვეთილი.

ისინი, ვინც ესწრებიან მეოთხე კვირის გაკვეთილს, წინასწარ უნდა გაეცნონ და თან იქონიონ ბოლო კონფერენციის მასალები.

კონფერენციის გამოსვლების გაკვეთილში გამოყენებასთან დაკავშირებული რჩევები

ილოცეთ, რამეთუ საკონფერენციო გამოსვლების შესწავლის და გადმოცემის დროს სული წმინდა იყოს თქვენთან. შეიძლება გაგიჩნდეთ სურვილი, მოამზადოთ გაკვეთილი სხვა მასალის გამოყენებით, მაგრამ ზუსტად კონფერენციის მასალებია ის წყარო, რომლითაც უნდა ვხელმძღვანელობდეთ. თქვენ გევალებათ მოეხმაროთ სხვებს ისწავლონ და ცხოვრებაში გამოიყენონ სახარება ისე, როგორც ბოლო გენერალურ კონფერენციაზე დაგვმოძღვრეს.

გადახედეთ გამოსვლებს, გაამახვილეთ ყურადღება მოძღვრების იმ პრინციპებზე, რომლებსაც განსაკუთრებით საჭიროებს მრევლი. მოძებნეთ მოთხრობები, ნაწყვეტები წმინდა წერილებიდან და მტკიცებები, რომლებიც მოგეხმარებათ სწავლების დროს.

შეადგინეთ გეგმა, რომლის მიხედვითაც გადმოსცემთ სწავლებას და შესაბამის პრინციპებს. იფიქრეთ შეკითხვებზე, რომლებიც დაეხმარებათ მოწაფეებს.

- საკონფერენციო გამოსვლებში ეძიეთ სწავლების პრინციპებს.
- იფიქრეთ მათ მნიშვნელობაზე.
- გაუზიარეთ სხვებს თქვენი აზრები, გამოცდილება და დამოწმება.
- მოარგეთ ეს პრინციპები და სწავლება მათ ცხოვრებას.

გაკვეთილების ჩატარების განრიგი (თვეების მიხედვით)	მეოთხე კვირის მასალები
ნოემბერი 2011–აპრილი 2012	2011წ.ნოემბერში გამოქვეყნებული მასალები *ლიახონა**
2012წ. მაისი –2012წ. ოქტომბერი	2012წ.მაისში გამოქვეყნებული გამოსვლები *ლიახონა**

** სხვადასხვა ენებზე გადათარგმილი გამოსვლები შეგიძლიათ იხილოთ conference.lds.org.*

პრეზიდენტი დიტერ ფ. უხთდორფი
პირველ პრეზიდენტთა მეორე მრჩეველი

შენ მისთვის მნიშვნელოვანი ხარ

უფლის სულის საზომი ძალიან განსხვავდება მიწიერი საზომისაგან.

მოსე, ერთ–ერთი ყველაზე დიდი წინასწარმეტყველი, რომელიც როდესღაც დაბადებულა დედამიწაზე, ფარაონის ქალიშვილმა გაზარდა. მან ცხოვრების 40 წელი ეგვიპტეში, სამეფო სასახლეში გაატარა. მასზე კარგად განა იცოდა ვინმემ ამ უძველესი სამეფოს დიდება?

მრავალი წლის შემდეგ, ძლიერი ეგვიპტესა და მისი დიდებისაგან შორს, მთის მწვერვალზე, იდგა მოსე ღვთის წინაშე და ესაუბრებოდა მას, როგორც თავის მეგობარს.[1] ამ გამოცხადების დროს აჩვენა ღმერთმა მოსეს ის, რაც მან შექმნა, და დაანახა მას თავისი შრომა და დიდება. ხილვის შემდეგ დაეცა მოსე მიწაზე და დიდხანს ვერ ადგა ფეხზე. როდესაც მას ძალა დაუბრუნდა, მიხვდა იმას, რაც წლების მანძილზე ფარაონის კარზე ცხოვრებისას აზრად არ მოსვლია.

„მე ვიცი, რომ ადამიანი არაფერია.“[2]

ჩვენ იმაზე გაცილებით უფრო უმნიშვნელონი ვართ, ვიდრე გვგონია

რაც უფრო მეტს შევიცნობთ სამყაროს, მით უფრო კარგად გვესმის, ნაწილობრივ მაინც, ის, რაც მოსემ იცოდა. სამყარო ხომ ისეთი დიდი, საოცარი და ამოუწურავია. „შევქმენი უამრავი სამყარო“, უთხრა ღმერთმა მოსეს.[3] ღამის ცის საიდუმლოებანი ამ ჭეშმარიტების ულამაზესი დამოწმებაა.

როდესაც ღამით ოკეანებსა და კონტინენტებზე გადაფრენა მიწევდა და პილოტის კაბინიდან ფანჯარაში ვიყურებოდი, მილიონობით ვარსკვლავების უსაზღვრო დიდება აღფრთოვანებით მავსებდა.

ასტრონომებმა სცადეს ვარსკვლავების დათვლა. მეცნიერების ერთი ჯგუფი ვარაუდობს, რომ ვარსკვლავების რაოდენობა, რომლებსაც ტელესკოპში ვხედავთ, 10 ჯერ უფრო მეტია, ვიდრე მსოფლიოს პლიაჟებზე და უდაბნოებში არსებული ქვიშა.[4]

ეს დასკვნა ჰგავს უძველესი დროის წინასწარმეტყველის, ენოქის ნათქვამს: „ადამიანს რომ შეეძლოს დედამიწის ნაწილაკების დათვლა, და შემდეგ მილიონ ასეთ დედამიწაზე გადამრავლება, ეს ციფრი ახლოც არ გამოხატავს შენი ქმნილებების რაოდენობას.[5]

ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ მეფე ბენიამენი არიგებს თავის ხალხს: „მუდამ გახსოვდეთ ღმერთის დიდება და არ დაივიწყოთ საკუთარი არარაობა.“[6]

ჩვენ იმაზე მეტი ვართ, რაც გვგონია

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი არაფერია, მე მაინც მაოცებს ფიქრი იმაზე, რომ „დიდია ღმერთის თვალში ადამიანის სულის ფასი“.[7]

და მაშინ, როცა ვხედავთ სამყაროს უსასრულობას და ვამბობთ: „რა არის ადამიანი სამყაროს დიდებულებასთან შედარებით?“ თვითონ ღმერთი გვპასუხობს: ჩვენ ვართ თვით სამყაროს შექმნის მიზეზი! მისი სამუშაო და დიდება, ამ საოცარი სამყაროს შექმნის მიზეზი არის კაცობრიობის გადარჩენა და ამაღლება.[8] სხვაგვარად რომ ვთქვათ, მარადიულობა, დროისა და სივრცის უსასრულობის დიდება და საიდუმლოება შეიქმნა უბრალო მოკვდავებისთვის, თქვენთვის და ჩემთვის. მამაზეციერმა შექმნა სამყარო, რამეთუ ჩვენ, მისმა შვილებმა, განვავითაროთ ჩვენი შესაძლებლობები.

ეს არის ადამიანის პარადოქსი: ღმერთთან შედარებით ადამიანი არაფერია; მაგრამ ჩვენ ყველაფერი ვართ ღმერთისთვის. მიუხედავად იმისა, რომ უსასრულობის ფონზე ჩვენ არაფერი ვართ, ჩვენ მარადიული ცეცხლის ნაპერწკალი გვინთია გულში. ჩვენ გვაქვს ამაღლების დაპირება, რომლის თანახმადაც უსასრულო სამყაროები ჩვენი იქნება, და ღმერთს ეს სწადია ჩვენთვის.

ამპარტავნების სიბრიყვე

ეშმაკმა იცის, რომ ღვთის შვილების შეცდომაში შეყვანის საუკეთესო ხერხია ადამინის პარადოქსებზე მათი ყურადღების გამახვილება. ზოგიერთ შემთხვევაში ის აჯერებს ადამიანს, რომ იგი მნიშვნელოვანი და ძლიერია, რომ ის თავისი შესაძლებლობებით, ჭკუითა და საზოგადო მდგომარეობით სხვებზე მეტია, და რადგან ეს ასეა, ის არავის არ უნდა ემორჩილებოდეს და არავის პრობლემებით არ უნდა იწუხებდეს თავს.

ამბობენ, რომ აბრაამ ლინკოლნს უყვარდა ასეთი ლექსი:

რატომ უნდა იყოს მოკვდავი
ადამიანი ამპარტავანი?
ის ხომ სწრაფ მეტეორს, ან
ცაში მოცურავ ღრუბელს
ჰგავს,
ის როგორც ელვა, როგორც
ტალღა გაირბენს,
და დაასრულებს ცხოვრებას
სამარეში.[9]

იესო ქრისტეს მიმდევრებს ესმით, რომ უსასრულობასთან შედარებით ჩვენი მიწიერი ცხოვრება კონკრეტულ დროსა და ადგილში მხოლოდ წამია.[10] მათ იციან, რომ ადამიანის ფასეულობები განსხვავდება იმისგან, რაც სამყაროს მიაჩნია მნიშვნელოვნად. მათ იციან, რომ მთელი მსოფლიოს ვალიუტა ცის სასუფეველში შეიძლება ერთი პურის ფასიც არ იყოს.

ის, ვინც ცის სასუფეველს დაიმკვიდრებს,[11] არის ბავშვივით მორჩილი, თავმდაბალი, მომთმენი, სიყვარულით აღვსილი."[12] „ვინაიდან ყველა, ვინც თავს აიმაღლებს, დამდაბლდება, და ვინც თავს დაიმდაბლებს, ამაღლდება."[13] ასეთ მოწაფეებს ესმით, რომ „როდესაც მოყვასს ემსახურები,–ღვთის მსახურებაში ხარ."[14]

ჩვენ არ დაგვივიწყეს

სატანის კიდევ ერთი ხერხი–იმედგაცრუებაა. ის ცდილობს დაგვარწმუნოს საკუთარ უმნიშვნელობაში, სანამ არ დავიჯერებთ, რომ რაღაცის ღირსნი ვართ. ის შთაგვაგონებს, რომ ჩვენ იმდენად უმნიშნელო პიროვნება ვართ, რომ არავის არ ვაინტერესებთ, განსაკუთრებით ღმერთს.

ნება მომეცით გაგიზიაროთ საკუთარი გამოცდილება, რომელიც იმედია დაეხმარება მათ, ვინც თავს გრძნობს უმნიშვნელოდ, მივიწყებულად ან მარტოდ.

ბევრი წლის წინ მე ვესწრებოდი შ.შ. საჰაერო ძალების პილოტების ტრენინგს. მე ვიყავი ახალგაზრდა ჯარისკაცი დასავლეთ გერმანიიდან, რომელიც დაიბადა ჩეხოსლოვაკიაში, გაიზარდა აღმოსავლეთ გერმანიაში და ძლივს ახერხებდა ინგლისურად საუბარს. მე კარგად მახსოვს ჩემი მოგზაურობა ტეხასში, ბაზაზე, სადაც უნდა ჩატარებულიყო ტრენინგი. თვითმფრინავში ჩემს გვერდით იჯდა ადამიანი, რომელსაც მძიმე სამხრეთის აქცენტი ჰქონდა. მისი ნათქვამიდან ერთ–ორ სიტყვას ძლივს ვგებულობდი. საბოლოოდ გავიფიქრე: ნეტავ ინგლისური მასწავლეს თუ რომელიმე სხვა ენა? ის აზრი, რომ მე ინგლისურენოვან სტუდენტებთან მომიწევდა შეჯიბრი, მაშინებდა.

როდესაც ტეხასის პატარა ქალაქში, ბიგ სპრინგში, სამხედრო ბაზაზე ჩამოვედი, მე მოვძებნე უკანასკნელი დღეების წმინდანთა სამრევლო, რომლის რამოდენიმე წევრი იქვე, ბაზაზე ნაქირავებ ფართობზე იკრიბებოდა. მრევლი სამლოცველოს აშენების პროცესში იმყოფებოდა. იმ დროს თვითონ მრევლი იყო აქტიურად ჩართული მშენებლობაში.

ყოველ დღე მე ტრენინგს ვესწრებოდი, შემდეგ ვმეცადინეობდი, თავისუფალ დროს კი სამლოცველოს აშენებაში ვეხმარებოდი. ზუსტად იქ ვისწავლე, რომ ორი ოთხზე იყო არა საცეკვაო რითმი, არამედ ლაგის ზომა. მე ასევე ავითვისე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უნარი–როგორ ვიხმარო ჩაქუჩი ისე, რომ თითში არ ჩავირტყა.

მე იმდენ დროს ვუთმობდი სამლოცველოს აშენებას, რომ სამრევლოს პრეზიდენტი, რომელიც ჩვენი ერთ–ერთი ინსტრუქტორი იყო, სერიოზულად შეწუხდა იმის გამო, რომ საკმარის დროს არ ვუთმობდი სწავლას.

ჩემი მეგობრები და ჯგუფელები თავისუფალ დროს უთმობდნენ გართობებს, რომლებიც არ შეესაბამებიან ეკლესიის ამჟამინდელ *ახალგაზრდა ადამიანებისათვის* არსებულ სტანდარტებს. მე პირადად ძალაიან მსიამოვნებდა ამ პატარა ტეხასის სამრევლოში ყოფნა, სადურგლო ხელობის ათვისება და საკვირაო სკოლაში და უხუცესთა ქვორუმის გაკვეთილების ჩატარების დროს ინგლისური ენის დახვეწა.

მართალია ბიგ სფრინგი შთამბეჭდავად ჟღერდა, მაგრამ სახელის მიუხედავად ის პატარა, უცნობი ადგილი იყო. ზუსტად ასე მე საკუთარ თავზეც ვფიქრობდი–მეგონა, რომ ვიყავი უმნიშვნელო, უცნობი, მარტოდ–მარტო. მიუხედავად ამისა ხშირად ვფიქრობდი იმაზე, ვახსოვდი თუ არა ღმერთს, და შეძლებდა თუ არა ის ჩემს აქ პოვნას. მე ვიცოდი, რომ მას ის კი არ აინტერესებდა, სად ვიყავი, რა შეფასებას ვიღებდი ტრეინინგზე ან რა საეკლესიო მოწოდებაში ვმსახურობდი, არამედ ის, თუ როგორ ვასრულებდი ჩემს საქმეს, ვიყავი თუ არა მისი ერთგული, მსურდა თუ არა დავხმარებოდი სხვებს. მე ვიცოდი, რომ თუ მთელი ძალისხმევით ვიმსახურებდი, ყველაფერი კარგად იქნებოდა.

და იყო კიდევაც კარგად.[15]

და ბოლო გახდება პირველი

უფალს სულაც არ აინტერესებს, ვმუშაობთ ჩვენ მარმარილოთ

მოპირკეთებულ სასახლეში თუ ახორში. მან იცის, სად ვართ, და არანაირი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რამდენად მოკრძალებულ ცხოვრებით ვცხოვრობთ. ის თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენებს თავის ერთგულ ხალხს მისი წმინდა საქმისთვის.

ღმერთმა იცის, რომ უდიდესი სულების უმეტესობა იშვიათად შედის ისტორიაში. ეს არიან ის დალოცვილი, მორჩილი სულები, რომლებიც მისდევენ მაცხოვრის მაგალითს და ცხოვრების ყოველ დღეს სიკეთის კეთებაში ატარებენ.[16]

მე მყავს მეგობარი, რომლის მშობლებიც ამ მაგალითის განსახიერებას წარმოადგენენ. ქმარი იუტაში, მეტალოქარხანაში მუშაობდა. შესვენების დროს ის ან საეკლესიო ჟურნალს და ან წმინდა წერილებს კითხულობდა. როდესაც ამას სხვები ხედავდნენ, დასცინოდნენ. მიუხედავად ამისა ის ყოველთვის კეთილად და დაჯერებით პასუხობდა მათ. ის არ აძლევდა საკუთარ თავს იმის ნებას, რომ მათ უპატივცემლობას მასში სიბრაზე ან წყენა გაეღვიძა.

წლები გავიდა მას შემდეგ, რაც მათ შორის ყველაზე ურწმუნო ადამიანი ავად გახდა. სიკვდილის წინ მან სთხოვა ამ მორჩილ ადამიანს, რომ ის მის გასვენებაში გამოსულიყო სიტყვით. მორწმუნე ასეც მოიქცა.

ამ ერთგულ ეკლესიის წევრს არც სიმდიდრე და არც საზოგადოებისთვის რაიმე მნიშვნელოვანი სტატუსი გააჩნდა, მაგრამ ის ყველაზე, ვინც მას იცნობდა, ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებდა. ის უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა, როდესაც სხვა მუშას ეხმარებოდა.

ერთი წლის შემდეგ მისმა მეუღლემ თავის ტვინის ოპერაცია გაიკეთა, რის შემდეგაც სიარული ვეღარ შეძლო. ხალხს ძალიან უყვარს მასთან მოსვლა, რადგან ის კარგი მსმენელია, ის კარგად იმახსოვრებს, მას თქვენი ტკივილი აწუხებს. მას წერა არ შეუძლია, მაგრამ ის თავის შვილიშვილების და შვილების ტელეფონის ნომრებს იმახსოვრებს. მას ყველას დაბადების დღე და იუბილე ახსოვს.

მასთან საუბრის შემდეგ ადამიანები უფრო თავდაჯერებულნი ხდებიან, მათ ცხოვრების ხალისი ემატებათ, ისინი მის სიყვარულს გრძნობენ, იციან, რომ მას მათი გულისტკივილი აწუხებს. ის არასდროს არ წუწუნებს და ყოველ დღეს სხვების დალოცვაში ატარებს. ერთ–ერთმა მისმა მეგობარმა თქვა, რომ ის არის ადამიანი, რომელიც ჭეშმარიტად, იესო ქრისტეს სიყვარულის განსახიერებაა.

ამ წყვილსაც შეეძლო ეთქვა, რომ ისინი უმნიშვნელო არიან, მაგრამ უფლის საზომი, რომლითაც ის სულის ღირებულებას ზომავს, მიწიერი საზომისგან განსხვავდება. ის იცნობს ამ თავდადებულ წყვილს და უყვარს ისინი. მათი ცხოვრება უფლის მიმართ ძლიერი რწმენის ცოცხალი დამოწმებაა.

თქვენ მისთვის მნიშვნელოვანი ხართ

ჩემო ძვირფასო დებო და ძმებო, შეიძლება ადამიანი სამყაროსთან შედარებით

მართლაც არაფერია. ზოგჯერ ჩვენ თავს უმნიშვნელოდ, მიტოვებულად, მარტოდ ვგრძნობთ, მაგრამ ყოველთვის გახსოვდეთ, რომ თქვენ მისთვის მნიშვნელოვანი ხართ. თუ ამაში ოდესმე ეჭვი შეგეპარათ, განიხილეთ ეს ოთხი ღვთაებრივი პრინციპი:

პირველი: ღმერთს მორჩილნი და თავმდაბალნი უყვარს, რადგან ისინი დიდებულნი არიან „ცათა სასუფეველში.“[17]

მეორე: უფალს სურს თავისი სახარების სისრულე იქადაგონ არა ძლიერთა ამა სოფლისან, არამედ უბრალო ადამიანებმა სამყაროს დასასრულამდე.[18] „სოფლის უძლურნი ამოირჩია ღმერთმა, რათა შეარცხვინოს ძლიერნი.“[19] და ყველაფერი,რაც ძლიერია“.[20]

მესამე: არა აქვს მნიშვნელობა, სად ცხოვრობთ ან როგორ, რა გასამსჯელოსთვის მუშაობთ, რამდენად შეზღუდულია თქვენი შესაძლებლობები, როგორ გამოიყურებით, ან რაოდენ უმნიშვნელოა თქვენი აზრით თქვენი მოწოდება ეკლესიაში, თქვენ არ ხართ უხილული მამაზეციერისთვის, მას თქვენ უყვარხართ. მან იცის თქვენი მორჩილი გული და თქვენი კეთილი და სიყვარულით სავსე საქმეები. ეს ყველაფერი ერთად წარმოადგენს თქვენი ერთგულებისა და რწმენის დამოწმებას.

მეოთხე, და ბოლო: გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ის, რასაც ეხლა განიცდით ან ხედავთ, არ იქნება მუდამ ასე. თქვენ მუდამ როდი იგრძნობთ სევდას, ტკივილს, იმედგაცრუებას, ან მარტოობას. ჩვენ გვაქვს ღმერთის დაპირება მასზედ, რომ ის არ დაივიწყებს და არ მიატოვებს მათ, ვინც მას საკუთარ გულს მიანდობს.[21] იქონიეთ რწმენა ამ დაპირებაში. ისწავლეთ მის მიმართ სიყვარული და გახდით მისი მოწაფენი როგორც სიტყვით, ასევე საქმით.

გჯეროდეთ, რომ თუ შეინარჩუნებთ რწმენას, დარჩებით მისი ერთგული და დაიცავთ მცნებებს, დადგება დღე, როდესაც პავლე მოციქულის დაპირება თქვენი გახდება; „რაც თვალს არ უნახავს, ყურს არ სმენია, კაცს გულში არ გაუვლია, ღმერთმა ის მოუმზადა თავის მოყვარულებს.“[22]

დებო და ძმებო, სამყაროში ყველაზე ძლიერი არსება თქვენი სულის მამაა. ის გიცნობთ თქვენ. თქვენ მას სრულყოფილი სიყვარულით უყვარხართ.

ღმერთი გიყურებთ თქვენ არა როგორც პატარა პლანეტაზე მცხოვრებ მოკვდავს, არამედ როგორც თავის ძეს. ის გიყურებთ როგორც არსებას, რომელსაც შეუძლია გახდეს ისეთი, როგორც მან

ჩაიფიქრა. მას უნდა, რომ თქვენ იცოდეთ: თქვენ მისთვის მნიშვნელოვანი ხართ.

დაე მუდამ გვწამდეს, გვჯეროდეს, და მივუძღვნათ ჩვენი ცხოვრება იმას, რომ გავიაზროთ ჩვენი მარადიული ღირსება და პოტენციალი. მოდით ვიყოთ მამაზეციერის ძვირფასი დალოცვების ღირსნი. მე ვლოცულობ ამას მისი ძის, იესო ქრისტეს სახელით, ამინ.

შენიშვნები

1. იხილეთ მოსე 1:2.
2. მოსე 1:10.
3. მოსე 1:33.
4. იხილეთ ენდრიუ ქრეგი "Astronomers Count the Stars," BBC News, 22 ივლისი, 2003წ, http://news.bbc.co.uk/2/hi/science/nature/3085885.stm.
5. მოსე 7:30.
6. მოსია 4:11.
7. მოძღვრება და აღთქმები 18:10.
8. იხილეთ მოსე 1:38–39.
9. უილიამ ქნოქსი, "Mortality," ჯეიმს დალტონ მორისონის გამომცემლობა., *Masterpieces of Religious Verse* (1948), 397.
10. მოძღვრება და აღთქმები 121:7.
11. 3 ნეფი 11:38.
12. მოსია 3:19.
13. ლუკა 18:14; იხილეთ ასევე მუხლი 9–13.
14. მოსია 2:17.
15. დიტერ უხთდორფმა პირველმა ჩაბარა გამოცდები.
16. იხილეთ საქმეები 10:38.
17. მათე 18:4; იხილეთ ასევე მუხლი 1–3.
18. მოძღვრება და აღთქმები 1:23.
19. მოძღვრება და აღთქმები 1:19.
20. 1 კორინთელთა 1:27.
21. იხილეთებრაელთა 13:5.
22. 1 კორინთელთა 2:9.

© 2011 by Intellectual Reserve, Inc–ის მიერ. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/10. თარგმანი დამტკიცებულია 6/10. *Visiting Teaching Message, ნოემბერი 2011.* Georgian. 09771 131